ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. № 12. 23 ᲛᲐᲠᲢᲘ 1878 Წ.

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენებზედ.

«ივერიის» ფასი

ერთის წლისა გაგზავნით და გაუგზავნ. 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . . . . 3მ. 50კ.
თითო ნომერი . . . . . . . . . . « 15 კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

# საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

მომავალ ხუთშაბათს, მარტის 30-ს, ტფილისის თეატრში ქართულის სცენის მოყვარენი წარმოადგენენ გორის მაზრის სასოფლო შკოლების სასარგებლოდ შექსპირის დრამას „ვენეციელი ვაჭარი“. ბილეთების ყიდვა შეიძლება თეატრის კასსაში.

ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ I. საქართველოს მატიანე: («ივერიის» კორრესპონდენციები). საგარეჯოდამ, სურამიდამ, საგარეჯოდამ.— II. კახის უჩასტკა (ზაქათალის მაზრაში), (შემდეგი) განოსი.— III. საპოლიტიკო მიმოხილვა, ინგლისი, საფრანგეთი — IV. დარდი (ლექსი). — V. რუსეთი. „ივერიის“ კორრესპ. პეტერბურღიდამ — VI. საქართველო (ისტორიული და ეტნოგრაფიული გამოკვლევა, (შემდეგი.) — VI. განცხადება.

## საქართველოს მატიანე

(„ივერიის“ კორრესპონდენციები)

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ, მარტის 3-სა. ამას წინედ «ივერიაში» რამდენჯერმე იყო მოხსენებული საგარეჯოში ქურდობის გახელებაზედ. მიკვირს რომ ამისთანა ამბავს არავინ მიაქცია ყურადღება. წინედ იყო ნათქვამი, რომ მთელი დასია ავაზაკებისა გამართულიო და ყოველ ამ უწესობას ახდენენ სოფელშიო, იყო მოხსენებული, რომ მოხელენი იჭერენ ქურდებს და თვითონვე ანთავისუფლებენო. აი კიდევ იმისთანავე შემთხვევა: პირველს მარტს ერთის საწყალის გლეხის გომიდგან გაეყვანათ ქურდებს ორი ცხენი. ამ ცხენებთან ერთი თათრისა და ერთიც ქართვლისა ბმულიყო, რომლებსაც არ შეხებოდნენ. აქ ეჭვი არ არის რომ იმ ცხენების მოპარვას თათარს დასდებდნენ. ცხენების პატრონმა მაშინათვე თათარს წაავლო ხელი. მამასახლისმა ჩაბოჭა თათარი, გაუყარა ბორკილი, შეადგინა რაპორტი და ისტუმრებდა ქალაქში. ხალხი ამბობდა მავისთანა „ლაპორტი“ ბევრი დაუწერია ჩვენ მამასახლისსაო. არ გამოსულა ორი საათი მას შემდეგ და მამასახლისს გამოეყარა ბორკილი და თათარი გაეშვა, რისთვის და რათა, არ ვიცით. ჩვენის მოხელეების ამ გვარის მოქმედების გამო, უფრო ქურდობას უნდა თავი მოეხელებინათ, რადგანაც ყველანი მათი მფარველნი იყვნენ. ამის გამო რაც იქამდე იყო მას მოჰყვა უფრო შემაძრწუნებელი უბედურებანი. სამს რიცხვს ამავე თვისას ღამის პირველ საათზედ მიუხდნენ ქურდები ერთს საგარეჯოს მცხოვრებს იაგორ ასლამაზოვს, მოჯამაგირებს ბოსლის კარები გარედან წინათვე გადაურაზეს. შეამტვრიეს კარები, შევიდნენ სახლში, მოსთხოვეს ყოველივე ქონება, რაც კი ებადა. შეკრთა საწყალი ასლამაზოვი და უთხრა: რასაც თხოულობთ ყოველივე წაიღეთო და ჩვენ კი ნურას გვიზამთო. გამოართვეს ფული, ბევრი ვერცხლეულობა და შევერცხლილი იარაღი, მაგრამ ამასაც არ დასჯერდნენ: ოცი წლის ვაჟი-შვილი მძიმეთ დაუჭრეს, და ნაშუადღევის ორ საათზედ გარდაიცვალა კიდეც; თვითონ იაგორ ასლამაზოვი თავში დასჭრეს. ამ ოჯახის ავლება თითქმის გაგრძელებულიყო საათ-ნახევარი. ქურდები როცა გამოვიდნენ ამ დროს მეზობლებმა თუმცა შეიტყეს, მაგრამ რას იზამდნენ? თოფები მათ არა აქვთ და ხანჯლები! თუმცა ერთს მოეხერხებინა და გამოეტანა კარში დაყანგებული თოფი, მაგრამ რამდენიც დააჩხლაკუნა, იმდენჯერ მოუცდა უბედურს. რასაკვირველია აქვე მოცვივდნენ მეზობლები; რაღას უშველიდნენ. ეძებენ მამასახლისს, სად არის მამასახლისი, სად არის მისი თანა-შემწე? ხალხი დგას, ყვირის მდევარს, მაგრამ ვინა ჰყავთ მოთავე უფროსი, რომ ხალხი წავიდეს და ქურდებს გზები გადუჭრან. ამის-

თანა სამაგლობა და უდიერობა სოფელ საგარეჯოში არა მამასახლისების დროს არა ყოფილა. ათასი კომლი მცხოვრები უპატრონოთ არის, მამასახლისი ქალაქში დატლიკინებს, აგერ ორი თვეა უმეტეს ნაწილათ ქალაქში იმყოფება. განა არ შეიძლებოდა, რომ მამასახლისს თუ რამე მთავრობიდგან მონდობილობა ექნება ის საქმეები შესრულებინოს ხოლმე თავის თანა-შემწეს, მაგრამ რათ იზამს? ხალხი კარგათა გრძნობს ვინც არიან ამ სოფელში ავაზაკნი, მაგრამ ვეღარ ბედამენ მათ გამოყლაპრებას, რადგან ყოველს თვითეულათ ეშინიანთ აკლებისა. . . . . . .

. . . . .ხალხმა კარგად იცის რომ მათ სასოფლო წესდება ნებას აძლევს ყოველივე საეჭვო და მავნებელი საზოგადოებისათვის, თავიდამ მოიშორონ, შეუძლიან დაადგინოს განჩინება უმეტესის ხმით მათს გადასახლებაზე და გადაასახლებინოს, მაგრამ ქრთამების წყარო რო დაუშრებათ მოხელეებს, საიდღამდა გაითბონ ხელი? ეს შემაძრწუნებელი ამბავი ღირსია ყურადღებისა; მეტადრე ახლა, როდესაც აქ არის სოფლის ბანკი; თუმცა ფულებს შიგ არ ინახამენ, მაგრამ სახელი კიდევ დიდი აქვს, ქურდებისათვინ დიდი მაცდურებაა, გარდა ამისა დეპო და სასოფლო პურის მაღაზიაც არის. მაღაზიას ხო კახეთში და ქიზიყში ყარაულები ჰყავთ, მაგრამ აქაურ მამასახლისს ჩამი-ჩუმიც არა აქვს მასზედ, რომ ყარაული იყოლიოს. ეს ბატონი მამასახლისი თუმცა გამოცვალეს და სხვა საიმედო კაცი ამოირჩიეს, მაგრამ საქმე მის გამოცვლამდინ არის. ვინ იცის? მანამ მოადგილე დადგებოდეს რამდენ რამეებს შეგვამთხვევს. უმორჩილესად ვთხოვთ, ვისიც რიგია, მოგვაშორონ და ჩქარა გადასცეს ახალ მამასახლისს მისი თანამდებობა.

ა. კავთელი.

---

**სურამი.** 15 მარტს. ისე თქვენი მტერი გაქარწყლდეს, ბატონო მკითხველო და მეგაზეთევ, როგორც აქ დნება წრევანდელი თოვლი და წყლად მიდის. ნეტავი ყოველმა ადამიანმა ისე სინიდისიანად და ბეჯითად აღასრულოს ჩვენში, თავისი ვალდებულება და დადებული კანონი, როგორც ბუნება ასრულებს. ქალაქიდამ, იმერეთიდამ და სხვა ადგილებიდამ გვესმის, რომ იქ სრული გაზაფხულიაო, თოვლის ხსენებაც არ არისო—თუ გინდ პერანგა იაროო.... აბა რა დროს გაზაფხულია? მარტი, რომ წინ გიდგას, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო,“ ნათქვამია. აქ სულ სხვაა—აქ ბუნება უფრო დარბაისლურად იქცევა. თებერვლის ნახევრიდამ დაწყობილი, აქ მზემ იწყო გზავნა თავისის განმაცხოველის სხივებისა, თოვლისათვის, რასაკვირველია, საჯავრელათ; მზეს მოეხმარა ზენაქარიც და ნელნელა შეერთებულის შრომით თოვლს ბოლოს უღებენ. თოვლი დნება, წყლად კეთდება; ჩნდება მრავალი ნაკადულები, რომლიდამ დგება ღვარი, ღვარი ჩამოჩხრიალებს თავ დაღმად და გაქანებული მირბის მტკვრისკენ. აი ამ სვლაში სურამის ბაზრის ქუჩებიც ირეცხებიან. წელიწადში ერთხელ ამ გვარად ელირსებათ გაწმედა ხოლმე. ეგეც ნუკეშია.

სურამს აქვს ერთი ბაზრის ქუჩა, რომელიც არის იმის საპრასტავოს გლეხების სავაჭროს ბუდე. ეს ბაზარი ისე ვიწროა, რომ ქალაქის დახურული ბაზარი გეგონებათ. აი ამ ბაზარში ზამთარ-ზაფხულს ვხედავთ უწმინდურებას, გაუშრობელს ტალახს, რადგან იქვე ხოცვენ ყასბები საკლავს, იქვე გუბდება სისხლი, იქვე შრება; იქვე სცდიან მოკლულის საქონლის შიგნეულობას და იქვე სუნთქვენ სურამელი „გელდიკუპცები.“ მებაზრები მაჩვეულები არიან იმ სუნს, ხმას რათ ამოიღებენ? მაშ ვინ უნდა იზრუნოს? აქაურმა მამასახლისმა? ღმერთო, ვერ გადავრჩით ამ კაცს, გულები გვისკდება! ასტაფურულდა! თავს რად შეიწუხებს, არტალები ხომ მოსდის მუდამ დღეს, რად აწუხინებს გომის?.. ეჰ, ამ დიდ მარხვაში რა მეარტალება! ამთონი სალაპარაკო მაქვს. ეს სულ ლობიოს და ჯონჯოლის ბრალია, თქვენმა მზემ.

მართალია, თოვლისაგან შემდგარის ღვარით სურამის ქუჩები დაირეცხება, გაიწმინდება, გამშვენიერდება ხოლმე, მაგრამ რა ვქნა, რომ ჩვენი სურამელები «სურა—მელებად» რჩებიან?! იმათი ცხოვრება, როგორღაც, ცვლილებას არ ემორჩილება....

განა ამისთანა მცირე დაბაზე ღირს მავდონი უბედობა, ახლა მეტყვის ჩემი მკითხველი, რომ ასე აგძელებ შენს წერილს. მაგრამ რა ვქნა? ხომ მოგეხსენებათ, უმიზეზოდ შედეგი არ იქნება. იქნება მეც ერთი მიზეზი მაქვს, რომ ასე ვაგძელებ—რწყილისგან აქლემს ვაკეთებ. თათრული ანდაზა ამბობს: „ყველა გულში თითო ასლანი წევსო“ მეც ის მიზეზი მაქვს, რომ პირველად

ცუდათა ვარ, მეორედ—მინდა ჩვენი ქართველები კითხვას შევაჩვიო. ახლა ხომ გაიგეთ? უფალნო კორრესპონდენტნო, თუ გინდათ, რომ ჩვენმა ქართველებმა კითხვა ისწავლონ და ჭკვა, ეცადეთ ბევრი ლანძღვა სწეროთ. გამოვა თუ არა ვისმეზე წერილი, მაშინვე, თუ გინდ ქალაქი იყოს, თუ გინდ სოფელი, წაავლებენ ხელს იმ ნომერს გაზეთისას და არიან ერთ-კითხვა-სჯაში. გამოცდილება ბევრს რასმეს ასწავლის კაცს. ესეც მე გამოცდით გავიგე. ამას დიდი მიხვედრა კი არ უნდოდა, ჩემო თავო.

ახლა ვილაპარაკებ ზოგიერთს რასმეზედ. მე ვიცი, სურა-მელები გამიწყრებიან. გავჩუმდე, გული მისკდება. მაშ, რომელს ქვას ვახალო ეს ჩემი მოუსვენარი თავი? ერთი ეს მანუგეშებს: იქმნება ამ წერილის წაკითხვის დროს მოიგონონ ანდაზა: „მოყვარეს პირში ეტყვიან, მტერს—პირს უკანაო.“ მერწმუნეთ, ჩემნო კარგნო, მიუვარხართ, იმიტომ ამ დიდ მარხვაში გაგონებთ თქვენ ცოდვებს, რომ აღსარებაში არ დაგავიწყდესთ....

ბუნებას აქვს მრავალ-გვარი კანონები; ის კანონები უშეცველად უნდა აღსრულდეს. ერთი ამ ბუნების კანონთაგანი არის ჩემის ფიქრით ჭორი. ეს ჭორი რომ ყველგან მიღებულია, პატივდებული, ამაზედ ყველა დამეთანხმება. სხვაგან თუ ტიკებით არის ჭორი—აქ ჩვენში რუმბებით მოინახება. მარტო ახალ-ახალი როდია, ბატონო! სულ დაძველებულები; ამ ძველს დღითი დღეზე ემატება ახალი და გროვდება. ჩვენში არხავი არ გახლავს, რომ ძველი ჭორები მიეცეს შესანახავად; ფოშტის კანტორა არ არის, რომ სხვაგან—არხივში გაგზავნოს, ვჰსთქვათ, თუნდ გორს. რკინის გზით არ გაიგზავნა, რადგან დასაღვრელი ნივთიაო და უპ ტენტოდ არ მიიღებს; ჩარკადრებს და მეფურგუნებსაც არ მიაქვთ. ამბობენ, რომ ეგ იმისთანა საქონელია, რომ მუშტარი ბევრი ეყოლება, გზაზე გაგვცარცვენო—უპრალოდ ჩვენი თავი ხათაში რად უნდა ჩავაგდოთო. ასე ამ ყოფაში უშველებელი ზვინები ჭორისა დგას აქ ერთი ნადიაკვნარის ეზოში. ცხრა ათი წლის ჭორების ანგარიში სულ ამას აბარია. ის ისეა გამოცდილი, რომ ჰკითხოთ ვინმე ქალის თუ კაცის გარემოება—სრულის დალაგებით მოგცემსთ ანგარიშს. გეტყვისთ: აი ის ამას ეარშიყება; აი ის ქალი ამდგენ ჯერ გაათხოვეს და დაატოვებინეს. ერთის სიტყვით, იმისთანა შინაგანს ანგარიშებს მოგცემსთ, რომ იტყვით: ნეტაი ყრუ-მუნჯი ვყოფილვიყავ და ესენი არ გამეგონაო. რაც აქ ჭორია, იმით შეიძლება ვლადიკავკავისკენ გასაკეთებელი გზის ოღრო-ჩოღროები გაივსოს და ზედ რკინის გზა გაიგოს. მერწმუნეთ ჭორების მატარებელს თავისივე ორთქლი და ცეცხლი ატარებს. არც შეშის ხარჯი, არც ბორჯი!.. იაფი და კარგი!..

მკითხველო, ერთი წამი კიდევ! თუ გავაგრძელე სიტყვა, მაინც ისე უნდა გავაგრძელო, რომ სწორედ გრძელი ერქვას. ახლა მე მსურს, თუ შენც გინდა, მკითხველო, გაგაცნო ჩვენის სურამის სულდგმულთა ყოფაცხოვრება. სურამი უბან-უბნად არის დაყოფილი მცხოვრებთა კვალობაზედ. არის განათლებულთა უბანი, გლეხთა უბანი, სომეხთა უბანი და ურიათ უბანი. ყველა უბანს თავისი უფროსი ჰყავს, თავისი მომრიგებელი მოსამართლე, თავისი ფოშტა და თავისი ხაზინა. ხაზინაში, რასაკვირველია, მხოლოდ ჭორები ინახება. მცხოვრებნი განიყოფებიან: არისტოკრატებად, არშინოკრატებად, ტეტიოკრატებად და ისრაელაკრატებად.—არისტოკრატები, რასაკვირველია, არ ეკარებიან სხვებს და იძახიან: რად ვიკადრებთ გაბერილ ვაჭრებთან და იმათ ცოლებთან ლაპარაკსაო. არშინოკრატებიც იძახიან: ვუი ქა, ჩვენ ბეზიზგანების ცოლები ვართ და რად ვიკადრებთ ჯიბეცარიელა ტეტიკებთან მისვლა-მოსვლას. ტეტიკები ხომ მოგეხსენება, თუმცა არავის თაკილობენ, მაგრამ ვერ ბედვენ სხვა დასებთან კავშირის ქონვას. აი ამ განხეთქილების გამო ჩვენში ერთმანერთან მისვლა-მოსვლა, ერთმანერთის გაცნობა, ერთმან-ერთის დარდის და ნაღვლის ცნობა სრულებით მოსპობილია. აქ, უეჭველია, გლეხები იჩაგრებიან, რადგანაც ესენი უფრო საჭიროებენ ხალხში ყოფნას, რომ როგორმე თვალი გაახილონ და გაიგონ რამე სასარგებლო, თუნდ სასწავლებლის და სხვა ბევრი „ლის“ და „ბის“ შესახებ. განა ცოტაა? თქვენ კაცი მიჩვენეთ თორემ—ბევრი რამ აქვს გლეხს ჩასაგონებელი. ფოშტა კი მუდამ დადის ერთის უბნიდამ მეორე უბანში და ძალიან ბეჯითადაც დადის. ნეტაი ჩვენმა სახელმწიფო ფოშტებმა იარონ ისე ბეჯითად და გულმოდგინედ, როგორც ესენი დადიან. ფოშტა ვსთქვი და მომაგონდა, ბატონო რედაქტორებო, რომ ინახულოთ თქვენის ბედნიერის თვალით რა წვალებაში ვართ წიგნების და გაზეთების მიღების დროს, სწორედ ისე შეგებრალებით,

რომ თქვენ გაზეთებს მტრედის ფოშტით გამოგვიგზავნიდით.

მატარებელის მოსვლის დროს ყველა კორრესპონდენტი იქ უნდა დაიბადოს თავისის კორრესპონდენციის მისაღებად. საქმე გაქვს თუ არა გაქვს, არავის ენაღვლება თუ არ მიხვედი, მშვიდობით! შენს კორრესპონდენციას თვალით ვეღარ ნახავ, სხვა წაიღებს. მუქთი მკითხველი ბევრია. აქ საფოშტო საგანი, მადლობა ღმერთსა, ბევრი გვაქვს, ჩვენც ადამიანები ვართ, მაგრამ ფოშტის კონტორა კი არა გვაქვს. თუ ვისმეს ფული აქვს გასაგზავნი, უნდა დახარჯოს ან ერთი მანეთი, ან ფეხით უნდა ჩავიდეს ხაშურში და იქ ჩააბაროს.

განა არ ეკუთვნის და დრო არ არის, რომ ბედნიერის თვალით გადმოგვხედონ? განა ქალაქობა არ ეკადრება სურამს? მობძანდით, ნახეთ და თუ არ მითხრათ: ეკადრება კი არა, რაც არის ისიც მეტია, მაშინ თუნდა ჩამქოლეთ კიდეც, ბატონებო. გვყავს მომრიგებელი მოსამართლე, მაზრის უფროსის თანაშემწე პრისტავი, არიან საავათმყოფონი, ტელეგრაფი, სასოფლო მმართველობა, აბლაკატები და ხარაზ-ვაჭრები—მეტიღა გნებავთ?...

ს. ბავრელი.

---

**საგარეჯო**, მარტის 10-სა. წინა წერილში არის მოხსენებული, აკლება ავაზაკებისაგან იაგორ ასლამაზოვის ოჯახისა, და მისი შვილის მოკვლა. თუ როგორ და ვისგან მოხდა ეს უბედურება, ამას დაწვრილებით მოგახსენებთ. წინეთ იყო ნათქვამი, რომ ავაზაკობის გავრცელებლის მიზეზნი არიან მოხელენი მეთქი, ეს ნამდვილი ჭეშმარიტებაა, როგორც გვიმტკიცებს ეხლანდელი საქმე. როგორც ყველანი დარწმუნებულნი არიან, ეს უბედურება მოხდა ვითომ ყარა რევაზოვისაგან, რომელიც არის ბიძა-შვილი ახლანდელის მამასახლისის იაგორ რევაზოვისა. ყარა რევაზოვი, როგორც ამბობენ, წინად იყო რიგიანი ყმაწვილი კაცი. როდესაც იაგორ რევაზოვი მამასახლისათ დადგა, ყარამ დაიწყო თურმე ჯერედ ქათმებისა და ინდოურების პარვა და თავის ხნის ამხანაგებთან ქეიფის წევა. რამდენჯერმე დაიჭირეს ქურდობაზედ, მოჰგვარეს მამასახლისს და მამასახლისი აფუჩეჩებდა, რადგანაც თითონ მამასახლისსაც ძალიან თურმე უყვარს ინდოურის ხორცი. მე თითონ გამიგონია რომ გლეხს ეკითხნოს მამასახლისისათვის: რად მოაკლევინე ჩემი ინდოური. მამასახლისმა პასუხათ მიჰსცა: ჩემი ქეიფით მოვაკლევინე და შევჭამე, საცა გინდოდეს, იქ მიჩივლე. თუ ასეა, რასაკვირველია ყარა რევაზოვს გაუტკბებოდა ქურდობა და ამასთანვე ქეიფის წევა. მერე დაუწყვია სეირნობა: ღამე მეძროხეებს მოჰპარავდა ძროხას, შუაღამისას მოიყვანდა თავის ამხანაგის მიხა ბაღდასაროვის დუქანში, ორივენი განთიადისას წააქცევდნენ ძროხას, ტყავს მაშინვე გააძრობდნენ თურმე და მიმალავდნენ. ვინ იყო მათი მკითხველი? ბოლოს ჟამს ყარა რევაზოვი ჩაეწერა მილიციის დრუჟინაში, როგორც სხვა გარეჯელნი. ხალხმა ამათ ტანისამოსის ფულათ მისცა თვითოს ოც-და-ხუთ ხუთი მანეთი. რამდენიმე ხნის შემდეგ ზოგიერთ არ მოეწონათ დრუჟინაში ყოფნა და იმათ შორის ყარასაც, და გამოიქცნენ. ზოგი მათგანი მოსვლისათანავე ავათმყოფობით დაიხოცნენ, დარჩნენ მხოლოდ აზარიაშვილი და ყარა. ამათზედ მამასახლისს მთავრობიდგან ბრძანება ბრძანებაზედ მოსდიოდა, რომ დაეჭირა და გაეგზავნა ჯეროვან ადგილს. ნაცვლად დაჭერისა, მამასახლისი პასუხათ ამლევდა, რომ ისინი გადაკარგულნი არიან სოფლიდგან, მაგრამ აზარიაშვილმა ახვენა უეზდის უფროსს, რომ მამასახლისს მისთვის გამოერთმია ოც-და-ხუთი მანეთი და მიეცა თავისუფლების ქაღალდი, რის მეოხებითაც ცოლიც შეირთო. როგორც გვითხრეს, მამასახლისმა უფროსთან იმართლა თავი იმითი, რომ ვითომც სოფლის საზოგადოებისაგან ჰქონოდეს მინდობილი გადახდევინებინა გამოქცეულებისთვის ის ოც-და-ხუთ ხუთი მანეთი, რომელიც მას გამოერთმია. აქაურების ძლიერ უკვირთ და კითხულობენ, რომელმა ყრილობამ მისცა ასეთი ნებაო? და თუ მისცა, რატომ ყარა რევაზოვს კი აღარ გადაახდევინაო, ამ უკანასკნელ დრომდი ხომ ყოველდღე ხედავდაო.

ყარა რევაზოვი ამ ხალხის დაუდევრობით და მამასახლისის შემწეობით წაქეზდა თურმე და ძროხების პარვიდგან გადავიდა დუქნების ტეხაზედ. ამბობენ, ამან გასტეხაო იაგორ ასლამაზოვის დუქანი, საიდგანაც გაიტანა ორი თუმნის თეთრი ფული. არ

გამოსულა სამი კვირა, გატეხეს აზარია დიაროვის დუქანი. პირველმაც და მეორემაც კარგად იცოდნენ თურმე, რომ ეს იყო ყარას ოინები, მაგრამ როგორ გაუბედავდნენ საქვეყნოთ გამჟღავნებას, ემუქრებოდა თურმე სახლის გადაწვას და აკვანში ყმაწვილების დაყლეტას. როცა ამ ბოლოს დროს თითონ უ. პრისტავი შეუდგა მის დაჭერის საქმეს, ამბობენ, ყარა იმალებოდაო ტყეში ერთ პატარა დანგრეულ ეკკლესიაში, და მას საზდოს უზიდავდა ამხანაგი მისა ბაღდასაროვი. ბოლოს ყარამ დაჰკრა ფეხი და წავიდა ქალაქს, იქაც იშოვა თურმე ამხანაგები. რასაკვირველია, საგარეჯოს ამხანაგებსაც არ ივიწყებდა და ყოველსავე თავის განძრახვას ატყობინებდა. ეს აქედან ვიცით, რომ ერთი კვირის წინეთ ამ გარემოებისა, შკოლისა და ბანკის მოსამსახურესთვის მისა ბაღდასაროვს ეთქვა: „შენ მანდ მოსამსახურობას თავი დაანებე, თორემ ჩაგხმალამენო.“—სამის დღის შემდეგ კიდევ იგივე სიტყვები ეთქვა. მართლაც, იმ ღამეს ქალაქიდან მოსულნი ხუთნი ავაზაკნი, როგორც ენახათ ნინოწმინდის ბოლოს ღამის თერთმეტ საათზედ და ორნიც აქაურნი, სულ შვიდნი დაეცნენ იაგორ ასლამაზოვის სახლს, შვილი მოუკლეს, თითონ იაგორ ასლამაზოვი დასჭრეს და სთხოვდნენ მას ივრის ამხანაგობის სასოფლო ბანკის ფულს, რადგან აქაური ამხანაგებისაგან ჰქონიათ შეტყობილი, რომ ბანკი, მასწავლებელის ქალაქს მყოფობის დროს, ინახებოდა ხან იაგორ ასლამაზოვის სახლში, და ხან აზარადიაროვისაში. ამ დროს მასწავლებელი ქალაქში იყო და იმ ორის დღის წინედ მოვიდა, და ის კი ვეღარ შეეტყოთ აქაურ ამხანაგებს, თუ იმ დროს ვისთან იყო ბანკი. მეორე დღეს დილის შვიდ საათზედ შეიყარა ხალხი, იძახდნენ მდევარს, მაგრამ არსად იყო ცხენი, არსად თოფი და არსად იყო ხანჯალი, იყაყანეს, იყაყანეს და ძლივ-ძლიობით თერთმეტ საათზედ გაჰყვა მდევარი. მაშინ რაღას ნახავდნენ?

ხალხი ძალიან შეშინებულია: ვისაც კი ძველი დაჟანგებული თოფი ეგდო სადმე, ახლა დაწმინდეს და მოამართვინეს მეჩახმახეს. განსაკუთრებით ზოგიერთ სომხებს ძალიან ეშინიათ. ერთს მათგანს სასაცილო საქმე დაემართა. ქურდობის მესამე ღამეს, მთვარიანი ღამე იყო. გამოსულა გარედ და დაენახა ალვის ხის ჩრდილი; ჩრდილი ავაზაკებათ მოეჩვენებოდა, მივარდნოდა თოფს და ესროლა. ზედ ხის წვერებსაც ნიავმა დაუბერა, ტოტები დაანძრია და ჩრდილმაც ქანაობა დაიწყო. შეშინებულმა გულადმა მორთო ყვირილი: «მიშველეთ, მიშველეთ, აგერ ქურდი მოვკალ, ფეხებს იქნევსო.» გამოცვივდნენ მეზობლები, ნახეს რომ არაფერი არა იყო რა.

გარეჯელი.

## კახის უჩასტკა (ზაქათალის მაზრაში).

(შემდეგი *)

### ჩვენის ცხოვრებიდამ

### IV

ხალხთაგან ბევრმა უთხრა საკვირაო შკოლაში ნასწავლ ახალ-გაზდებს: „თქვენ ხომ ნაიბი კანონებს გასწავლითო; რატომ არ შეატყობინებთ მას ამ გვარ უღმერთო ქცევას ჩვენის მამასახლისისასო!“ ახალგაზდებმა, რასაკვირველია, არ უმტყუნეს თვის მოძმეებს და მოახსენეს ნაიბს ყველაფერი. ამის შედეგი ის იყო, რომ ნაიბი თვით ჯამაათში გაუჯავრდა მამასახლისს, რომ კანონის ძალით არავის არ შეუძლიან თითითაც ხალხს შეეხოსო და შემდეგ ყველა მამასახლისებს თვისის უჩასტკისას გაუგზავნა სასტიკი ბრძანება, რომ არავის არ შეეძლოს გლეხების ცემაო.

### V

მაგრამ სამწუხაროდ, დიდხანს ვერ გასტანა უჩასტკის უფროსის სიტყვებმა, რადგანაც რამდენიმე დღის შემდეგ, თვითონვე მოშალა თვისი მშვენიერი განკარგულება და ბრძანება. თურმე ნუ იფიქრებთ, დაუყენებია მუშა ხალხზე ზედამხედველად ორი სალდათი, რომელნიც მიჰსდგომიან საწყალ ხალხს და ტყავს აძრობენ ცემატყეპით აბა ერთი მიბრძანეთ—ვინ ჩვენი ინგილო და ვინ ზედამხედველი . . . , რომელიც ერთი-ორის სტაქნის ღვინისაგან, თავის საკუთარ ქერქშიაც აღარ ეტევა ხოლმე! ისე დააშინეს ამ დალოცვილმა ზედამხედველებმა ეს ხალხი, რომ ყველა შიშისაგან შინ გარბოდა. ახლა მობრძანდა ნაიბი: ჰხედავს ხალხი ცოტაა. გულზე მოდის და ჯავრობს. როგორ თუ ეგრე ცოტა ხალხი მუშაობსო და გადაახდევინებს თითო კომლს ერთ მანეთს ჯარიმას, რასაკვირველია იმისთანა კომლს, რომელიც

*) «ივერია» № 11, 1878 წ.

მუშაობას დაჭკლებია. არ დაივიწყოთ, რომ ათ-ათი შა-
ური ჯარიმა კიდენ ამას წინად გადაახდევინა, ისევ გზის
ბეგარის გამო.

მგონია, მეტი არ იქნება მკითხველისათვის, რომ
ცოტათი მაინც გაცოდანო აქაურის გზების კეთების
საქმე. ჯერ ერთი, რომ ერთ არშინიანი არხეში უნდა
გათხარონ; შემდეგ იმ სიგანე გზებს, ერთი ნაპირიდამ
მეორემდე, თითქმის ერთი ჩარექის სისქეზე უნდა დაა-
ყარონ ქვიშა (არ დაივიწყოთ, რომ ეგრე აკეთებენ წინ
გაკეთებულ გზებს), და გზების ნაპირებზე უნდა ჩარგან
კაკლის ხეები, რომლებსაც უნდა შამოუღობონ კაცის
სიმაღლე გოდრები. მერე როგორები? იმისთანა მკვიდრი
და ლამაზები, როგორებსაც ჩვენ საქართველოში რთვე-
ლისთვისაც არ ამზადებენ! ახლა მკითხველი ადვილათ
გაიგებს, რომ ამ გვარ მძიმე ბეგარაზე, ხალხს ძლიერ
ბევრი დრო და მუშაობა უნდება. მიწის-მომქმედს ხალხს
ილაჯი აქვს გაწყვეტილი: ვერც თავის აუარებელს
საქმეებს გაჭსწვდენია და ვერც ამ გვარი მძიმე ბეგარა
ხეირიანად აუსრულებია. რაღა ჯარიმა უნდა ისეც წყალ-
წაღებულს! იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ნაიბი, რომლის-
თანა პატიოსანი მმართებელი ძვირათ თუ მოიპოვება
მთელ საქართველოს ზურგზედ, ყურადღებას მიაქცევს ამ
გვარად, მძიმე ბეგრისაგან და ომიანობისაგან შეწუხე-
ბულს ხალხს, და დაიხსნის უბედურებისაგან... მართა-
ლია ამის უჩასტკის გზები მშვენიერებაა და ყველა ბულ-
ვარი ინატრის მათ მსგავსებას, მაგრამ თვითონც დაგ-
ვეთანხმება, რომ ეგრე მშვენივრად გზების კეთება ძლიერ
ძვირად უჯდება ხალხს...

## VI

ე რაღა დაჭმართვია კასსა?! შარშან იყო, ერთმა
ქალმა თავი დაიღრჩო; ერთმა თათარმა სომეხი მოჭკლა;
ერთმა თათარმა ლეკი მოჭკლა! გვეგონა ამით გათავდება
ამ გვარი ამბები, მაგრამ ვერა! ახლა ყველა მხოლოდ
იმას ლაპარაკობს, რომ ერთი ოც-და-ხუთის წლის ინ-
გილო-აბასსა ოქრო ჯანაშვილი დაიკარგაო და აღარსად
არის მისი ხსენებაო. მართლაც და საკვირველი ხალხია,
ეს კაკის ხალხი? რატომ სასტიკ ყურადღებას არ მიაქცევს
ამ გვარ საქმეებს? ზევით მოგახსენეთ—ერთმა ინგილოს
ქალმა თავი დაიღრჩო. თურმე როგორ: შავედით
სახლ-ში სანახავად, ინგილოს დაბალ სახლში, თი-
რებზე გამოებათ საბელი, ქალს თავი გაეყო ამ
საბელში, ფეხები კი მიწაზე ჭქონდა დანდობილი! ცხა-
დია, რომ ქალმა თვითონ კი არ დაიღრჩო თავი, არა-
მედ სხვას დაუღრჩია, მაგრამ ეჰ! დასწყევლოს ღმერთმა
ესლანდელი დრო! ფულები რას არ გააკეთებენ! მოკვდა
ქალი და იმის მკვლელი კი აქამომდე ვერსად ვერ მოუ-
ძებნიათ! იმედი გვაქვს, რომ ვისიც ჯერ არს ამ გვარ
საქმეებს ყურადღებას მიაქცევს და სადაც არის, აბასსა
ოქრო ჯანაშვილს, მკვდარია თუ ცოცხალია, გვი-
პოვნიან.

## VII

ძალიან შაგვაწუხა ამ ფულების შეკრებამ. საითაც
გაიხედავ, ყველგან დარბიან თოლუმბაშები და ფულებს
აგროვებენ. ამას წინად ერთ ინგილოს დაეწვა ერთი სა-
თივე. გადაუწყვიტეს სოფელ კახს, ხუთი შაური ჯარი-
მა კომლზე და სამი შაური სათივეს ფასი. ეს ფულები
სრულად შაკრიბეს. ახლა ჩამდგარან თოლუმბაშები სო-
ფელში და მეორეთ აგროვებენ სათივეს ფასსა. ეს რა
ამბავია? ნუ თუ ისე წახდა სოფელი, რომ იმდენი ძალა
აღარ დარჩომია, ამ გვარი უსამართლო საქმეები თავი-
დამ აიცილოს?

## VIII

ამას წინეთ ჩამოერივნენ თოლუმბაშები სოფელში
სახელმწიფო ხარჯის ფულების მოსაკრეფათ. კახი გაყო-
ფილია ოთხ სათოლუმბაშოთ. ყველა სათოლუმბაშოში
ხარჯს ჭკრეფავდა თავის თოლუმბაში. შაკრიფეს ფულე-
ბი და უყვეს ანგარიში. ამ თოლუმბაშებში იყო ერთი,
რომელმაც იცოდა წერა-კითხვა. ფულების შეკრეფის
დროს, ის ჭსწერდა ვის რამდენი გამოართვა და თავისი
წილი ფული სრულიად მოუვიდა, მაშინ როდესაც და-
ნარჩენებს—ზოგს 28 მანეთი დააკლდა, ზოგს 8, ზოგს
12 მანეთი. ახლა ხელმეორედ ჩაცვივნულან ეს ვაუბა-
ტონები სოფელში, და ხელმეორედ აგროვებენ დანაკ-
ლისს—ეუბნებიან: «ამდვენი და ამდვენი დაგვაკლდაო,
მოგვეცითო!..“ ნასწავლმა თურმე უთხრა ერთხელ მამა-
სახლისს: „მეორეთ რად აკრეფინებ ფულებსაო; ხალხი
ცოდო არ არისო? იმათ რომ შაჭამონ, ხალხისა
რა ბრალიაო? რატომ მე არაფერი არ დამაკლდაო? რო-

გორც მე, ეგრე ისინი ხომ ერთგვარ ხარჯს გვრეფავდითო და სხვა....“ როგორ თუ შენ მაგას მეუბნებიო, ამოჰკრა პანჩური და გააგდო თოლუმბაშობიდგან. მოდი და გაცობავ, ჩვენში იხეირე! ..

ვანო

2 მარტს 1878 წ.

(შემდეგი იქნება.)

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**ინგლისი**. რუსეთმა, როგორც მოგეხსენებათ, გამოაცხადა კიდეც და ევროპის სახელმწიფოებს აცნობა შერიგების პირობები, ეხლა საქმე კონგრესსზედ არის მიჯარდნილი. კონგრესმა, ე. ი. უპირატესთა სახელმწიფოებმა საერთოდ უნდა გასინჯონ ამ შერიგების ის პირობები, რომელნიც შეეხებიან მთელს ევროპას და არა მარტო რუსეთსა და ოსმალეთს. მაგრამ საქმე ის არის რომ შეიკრიბება ეს კონგრესი თუ არა, ღმერთმა უწყის, რადგანაც ინგლისი თხოულობს ამ შერიგების ყველა მუხლის წარდგენას კონგრესის წინაშე. ამ გვარი მოთხოვნილება ინგლისისა, რასაკვირველია, საწყენია რუსეთისთვის, ინგლისითან ხომ არ მიომნიაო, ამბობს რუსეთი. აი ეს აბრკოლებს კონგრესს. ამბობენ რომ ამ დაბრკოლების აცილებისათვის შუაკაცობას რუსეთისა და ინგლისის შორის ბისმარკი კისრულობსო, რომელიც ჰსცდილობსო, რომ ინგლისი და რუსეთი ერთი ერთმანეთს მოურიგდნენო. ამისათვის ბისმარკს ვითომ უნდა, რომ ვიდრე თვით კონგრესი შეიკრიბება გამართულ იქმნეს წინა კონფერენცია, რომელმაც უნდა დაამზადოს კონგრესის პროგრამმა თუ რა საგანზედ უნდა გაიმართოს მოლაპარაკება მომავალ კონგრესში.

ინგლისისა და კონგრესის შესახებ ერთი კორრესპონდენტი იწერება: «საზოგადოდ საქმე არამც თუ ადვილდება, არამედ იხლართება და უარეს დღეს გვიქადის. ნუ თუ მოლაპარაკებას ბოლო აღარ ექმნება? ავსტრიამ იკისრა ლონდონისა და პეტერბურღის შორის შუაკაცობა და ჯერაც არ მიუღია ინგლისის მთავრობისაგან საკმაოფილო პასუხი. რუსეთმა დასთმო და თანახმა არის წარუდგინოს კონგრესს ყველა ის მუხლი, რომელიც საკუთრივ რუსეთს არ შეეხება, ინგლისი კი თავისაზედ დგას და უსათუოდ თხოულობს შერიგების მთლად განრჩევას კონგრესში. სხვა სახელმწიფოებს არ მოსწონთ ეს პირობა ინგლისისა და ეშინიანთ იქმნება კონგრესი აღარც კი შეიყაროსო, თუ ინგლისის მთავრობამ თავისი ახირება არ დაიშალაო.“

10-ს მარტს ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს ლორდ დერბის ლორდთა პალატში უთქვამს შემდეგი: „იმ პირობის შესახებ, რომლითაც ინგლისს უნდა თავისი წარმომადგენელი გაეგზავნა კონგრესში, მე მივწერე გრაფს ბეისტს (ავსტრო-ვენგრიის ელჩი ინგლისის წინაშე), რომ ვიდრე ინგლისი მონაწილეობას მიიღებს მეთქი კონგრესში, ცნობილ უნდა იქმნეს—შერიგების თვითოეული მუხლი იმისთვის იქმნება მეთქი წარდგენილი კონგრესში, რომ ამ კონგრესმა პირ-და-პირ მიიღოს ან უკუაგდოს, თუ იმისთვის რომ კონგრესმა გაარჩიოს თუ რომელს მუხლს უჭირს ევროპის დათანხმება და რომელს არ უჭირს. რუსეთმა გამოაცხადა, რომ შერიგების პირობებს მთლად ვაცნობებო უპირატესთ სახელმწიფოებს. მაგრამ ყველა მუხლი იქმნება წარდგენილი კონგრესის წინაშე თუ არა, ამაზედ ჯერ არავითარი ერთხმობა არ სუფევს. საზოგადო წესი ის არის რომ, კონგრესში კენჭის ყრა არ უნდა იქმნეს; კონგრესმა არ იცის არც უმრავლესობა, არც უმცირესობა. ამის გამო რუსეთს ვერ მოეთხოვება, რომ ყველა მუხლი მიანდოს კონგრესის უმრავლესობის გარდაწყვეტილებას; ეს უსამართლობა იქმნებოდა. ინგლისი თხოულობს მხოლოდ, რომ შერიგების ყველა მუხლი წარდგენილ იქმნას კონგრესის წინაშე გასაშინჯავად—მარტო გასაშინჯავად.“

— ერთი შესანიშნავი ამბავი უნდა მოგახსენოთ: ინდოეთის ღენერალ-ღუბერნატორის საბჭოს გარდაუწყვეტია რომ ინდოეთში ადგილობრივის მწერლობის თავისუფლება უკუგდებულ უნდა იქმნესო და ცენზურა უნდა დაარსდესო. ამის შესახებ ნემეცურის გაზეთის „National Zeitung“-ის ლონდონელი კორრესპონდენტი იწერება შემდეგს: „ეს ამბავი ამ ჟამად მით უფრო მძიმეა და ღირს შესანიშნავი, რომ ინგლისმა, თუ რუსეთთან ომიანობა აუტყდა, უმთავრესი იმედი ინდოეთის სამხედრო ძალაზედ უნდა დაამყაროს, თუ იმისთანა მტერს წაეცილება, როგორიც რუსეთია. რუს-ოსმალოს ომიანობის დასაწყისშივე გამოჩნდა, რომ ხონთქრის დამარცხებას საშიში გავლენა უნდა ჰქონოდა ინგლისის ინდოეთის მაჰმადიანებზედ. თუ ინგლისის მთავრობა უკა-

ნასკნელს დროს ორ-პირ პოლიტიკას მისდევდა აღმოსავლეთის საქმეში, ამის მიზეზიც ეს შიში იყო. ერთის მხრით მთავრობა პირ-და-პირ ვერ იჩენდა რუსეთისადმი წინააღმდეგობას გლადსტონის ქადაგობის შიშით; მეორეს მხრით ვერც ოსმალეთს სტოვებდა ღვთის ანაბარად ინდოეთის მრავალთა მაჰმადიანთა შიშით, და ამიტომ თან ნეიტრალიტეტის ნიადაგზედ იდგა, თან ოქროსა და აფიცრებს უგზავნიდა ოსმალეთს. მაგრამ ინდოეთელებს თუ არ აშკარა დახმარება, ამ გვარის შემწეობისა არა გაეგება რა. ინდოეთელები ამბობენ—თუ ინდოეთის დედოფალი ვერ ბედავსო აშკარად დახმარებას ხონთქრისასაო, მაშ ჰგავს იმდენად სუსტიაო, რომ ვერ გაუწევს ბრძოლას ფადიშაჰის მტერსაო, რომელიც იმავე დროს არის თვით დედოფლის მტერიო. თუ ასეაო, სუსტ მთავრობას არც უნდა ვემ-ვემდებარებოდეთო: მისი უკუგდება შესაძლოა და საჭიროც არისო. ამ ბოლოს დროს ადგილობრივი მწერლობა ძალიან გავრცელდა; ყოველ ქალაქში იბეჭდებიან სამშობლო ენებზედ დიდი თუ პატარა გაზეთები, რომელნიც აცნობებენ ადგილობრივ საზოგადოებას ყოველგვარს ინგლისის დასამცირებელს ამბებს. ეს ამბები და მათი ახსნა უღვივებენ იქაურ მცხოვრებთ იმედს—როდისმე ჩვენც შევიძლებთო ინგლისის უღელის უკუგდებასაო. რედაქტორებს—მაჰმადიანთ და ინდუსებს ძალიან ბეჯითად გადმოაქვთ მთავრობის მოწინააღმდეგე ლონდონელ გაზეთებიდამ ყოველგვარი ცნობა და შეჰხარიან გლადსტონსა და ბრაიტს, რომელნიც აგონებენ მთავრობას სისხლის ღვრას სიპაიების აჯანყების დროს. ასტყდა თუ არა აღმოსავლეთის საქმე ინდოელთა შორის გაჩნდა დიდი მოძრაობა; მოჰყვნენ შეწირვის მოგროვებას ოსმალეთის სასარგებლოდ; ამაში მთავრობაც ხელს უმართავდა. მაგრამ ამ ხელის-მომართვამ უფრო მტკიცედ აფიქრებინა ინდოელებს ინგლისის სუსტობა. შარშან ზაფხულში და მეტადრე ოსმალების დამარცხების შემდეგ ინდოეთის გაზეთებმა ისეთს კილოზედ დაიწყეს ლაპარაკი, რომ მთავრობამ საჭიროდ დაინახა წერა-ბეჭდვის შევიწროება ის გაზეთები, რომელნიც ინგლისურს ენაზედ გამოდიან, რასაკვირველია თავისუფალნი არიან ცენზურისაგან. მაგრამ კანონი აძლევს მაზრის უფროსს და პოლიციას უფლებას გაზეთების გამომცემლებს გამოართოს ხელწერილი, რომ ამას და ამ საგანზედ არაფერს არ დაჰბეჭდავენ. ან არა და გამომცემელი ვალდებულია წარუდგინოს გაზეთში დასაბეჭდი წერილი ცალკე დანიშნულს მოხელეს. ამ გვარად არსდება ნამდვილი ცენზურა, რომელსაც რამდენიმე დღის განმავლობაში შეუძლიან გააჩუმოს საუკეთესო და ღირს შესანიშნავი ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთი და დაუმორჩილოს მთავრობას მისი წინააღმდეგნი. ინდოეთის ცენზურის უფლება თვით იმ უფლებასაც აჭარბებს, რომელიც ნაპოლეონ მესამემ პერსინიის მიანდო, იმ პერსინიეს, რომელმაც პირი დაუცო პარიჟის მწერლობას.

გაზეთის «Times»-ის სიტყვით, ოცდა ოთხის საათის განმავლობაში ინდოეთის ადგილობრივის ჟურნალ-გაზეთობაში მტკიცე ცვლილება უნდა მომხდარიყო. დიდი ხანია ინდოეთის მთავრობას ამისთანა მძლავრი და მტკიცე ღონისძიება არ უხმარია. ვიცე-კოროლს ლორდ ლიტტონს უთქვამს თურმე რომ მე ყოველთვის აზრისა და წერა-ბეჭდვის თავისუფლების მოღვაწე ვიყავიო, მაგრამ ეს ღონისძიება (ცენზურის შემოღება) ყოვლად საჭიროაო საკუთარის არსების დაცვისათვისაო, ლორდ ლიტტონის სიტყვით, უმთარესი ნაწილი ადგილობრივთა წერილთა დანიშნულია იმ მკითხველთათვის, რომელთაც არც განათლება მიუღიათ, არც მტკიცე რწმენა შეუძენიათ. აქაურ ჟურნალ-გაზეთობაშიო, ამბობს ლორდი ლიტტონი, ბევრი იმისთანა წერილი მოიპოვებაო, რომელთაც ძალიან ცუდათ გამოჰყავთ ინგლისელები და მათი მთავრობაო, და ამასთანავე აშკარად ქადაგობენო აჯანყებას და ინგლისელების ამოწყვეტასაო. მეტადრე მოხელენი უნდა დავიცვათო აქაურის მწერლობისაგანაო. ლონდონის მწერლობა ამ განკარგულებას ტაშსა ჰსცემს, რადგანაც იმათ გარდა, ვინც მაინც და მაინც მშვიდობიანობას ქადაგობს, ყველანი ამ აზრისა არიან, რომ ინდოეთი ხელიდამ არ უნდა გაუშვათო, და თუ აქაურ ხალხს რაიმე აჯანყება დაეტყოვო, ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთო და დავიმორჩილოთო. გაზეთის «Times»-ის სიტყვით მთავრობამ ან სრულებით ხელი არ უნდა ახლოს ადგილობრივს მწერლობას, ან იმისთანა გარემოებაში უნდა ჩააგდოსო, რომ არავითარი წინააღმდეგობა შესაძლო აღარ იყოს. თუ საჭიროა სალიტერატურო აჯანყების დამშვიდება ინდოეთში, მთავრობამ ისე სწრაფად და ადვილად უნდა მოიქცესო, რომ მისი განკარგულება მცხოვრებთ ღვთის გან-

გზად ეჩვენოთ. მაგრამ, ეხლა, როდესაც რუს-ოსმალოს ომიანობის გამო მაჰმადიანთ შეუდგათ ძლიერი მოძრაობა, შეიძლება განა აღელვებულის მწერლობის დამშვიდება ცენზურის მეოხებით?„

—

**საფრანგეთი** მას აქეთ რაც მაკ-მაგონს მოუცდა რესპუბლიკის ამოთხვრა საფრანგეთში და რაც სარესპუბლიკო დასი გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლიდამ, ამ **დროს** კაცების უპირატესი ზრუნვა იმაში მდგომარეობდა, რომ საშემდეგოდაც მოეკვეთათ მთავრობისათვის თავხედობისა და ყოველგვარის ავკაცობის ღონისძიება. ჩვენთა კანონთა შორისო, ამბობდნენ რესპუბლიკელნი ბევრი იმისთანა ორპირი კანონი ურევიაო, რომლის ბოროტი თუ კეთილი მოქმედება მთავრობის სვინიდისზედ ჰკიდიაო. ეს კანონები აძლევენ მთავრობას ხელში იარაღს, რომელსაც მთავრობა ხმარობს თვის პირადის სასარგებლოდ. მაშასადამე უნდა ვეცადოთო, რომ ეს იარაღი მთავრობას ხელიდგან გამოვაცალოთო და მის ბადლათ იმ გვარი კანონები დავადგინოთო, რომელნიც აღუკრძალვენ მთავრობას რესპუბლიკის წინააღმდეგ მოღვაწეობასაო. მართლადა დეპუტატთა პალატი შეუდგა ამ გვარ კანონების დადგენას. ახალმა, რესპუბლიკის მომხრე სამინისტრომ წარუდგინა პალატს, სხვათა შორის, კანონი გაზეთების ცალკე ნომრობით გაყიდვისა და კანონი საომარ ფეხზედ (осадное положеніе) დაყენების შესახებ.

წერა-ბეჭდვისათვის სხვა და სხვა გვარი ლაგამია შემოღებული. გარდა ამისა ერთსა და იმავე ლაგამს ყველგან ერთი და იგივე მნიშვნელობა არა აქვს. აი თუნდ გაზეთების ცალკე ნომრობით გაყიდვის აღკრძალვა ავიღოთ. იმ ქვეყანაში სადაც მწერლობა ფრთა-მოკვეთილია, სადაც ჟურნალ-გაზეთობა არის მაჩანჩალა და არა არსებითი ძალა ცხოვრებისა, სადაც მის მკითხველთა რიცხვი მცირეა, იქ ვიღა ჩივის გაზეთების ცალკე ნომრობით გაყიდვის აღკრძალვას. მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც წერა-ბეჭდვა ცოტად თუ ბევრად თავისუფალია და გავრცელებული, სადაც ჟურნალ-გაზეთობას ნამდვილი ძალა უპყრია ცხოვრებაში, სადაც მის მკითხველთა რიცხვი ასი ათასობით და მილიონობით ითვლება, გაზეთების ცალკე ნომრობით გაყიდვის შევიწროება არის არსებითი ვნება თავისუფლებისათვის. გეხსომებათ თუ რა ნაირად ეკიდებოდა შარშან არჩევნის დროს საფრანგეთის მთავრობა ჟურნალ-გაზეთობას: პრეფექტები ცდილობდნენ მიეცათ მეგაზეთებისათვის მხოლოდ იმ გაზეთების გაყიდვის ნება, რომელნიც მთავრობის მოსაწონი იყვნენ და არა რესპუბლიკის მომხრენი. რაღა თქმა უნდა, რომ მთავრობის ამ გვარმა მოღვაწეობამ დიდად შეავიწროვა თვით საყოველთაო არჩევანიც, რომელიც მხოლოდ მაშინ არის სრული გამომთქმელი ხალხის აზრისა და სურვილისა, როდესაც წერა-ბეჭდვასა და სიტყვას არავითარი დაბრკოლება და წინააღმდეგობა არ უძევს წინ. ამ წინააღმდეგობის ღონისძიება შესახებ გაზეთების ცალკე ნომრობით გაყიდვისა გამოეცალა ეხლა მთავრობას. დეპუტატთა პალატმა დასდვა კანონი, (სენატმაც მიიღო), რომლის ძალით ყოველს ფრანცუელს ეძლევა ნება ატაროს და ჰყიდოს ყოველგვარი გაზეთი, რა დასსაც უნდა ეკუთვნოდეს. მეორე კანონი შესახებ საომარ ფეხზედ დაყენებისა კიდევ უფრო შესანიშნავია. საომარ ფეხზედ დაყენებული ქვეყანა არის ქვეყანა იმ გარემოებაში ჩავარდნილა, რომლის ძალით ისპობა ყოველგვარი საერო წესიერება და მოქმედობს მხოლოდ სამხედრო კანონი. ამ გვარი მდგომარეობა დიდი უბედურებაა ქვეყნისათვის. იშვიათი და განსაკუთრებული მიზეზი უნდა ჰქონდეს მთავრობას, რომ საომარ ფეხზედ დააყენოს თვისი ქვეყანა. ამისათვის ან მტერი უნდა მიადგეს კარს და დიდ განსაცდელში ჩააგდოს ქვეყანა, ან შინ უნდა გაუჩნდეს აუარებელი აჯანყება და სისხლის ღვრა. მაგრამ საქმე ის არის, რომ მთავრობამ ამ იარაღის ბოროტად მოხმარებაც იცის. როდესაც მთავრობა ჰხედავს, რომ კანონიერი ბრძოლა თავისუფლებასთან შეუძლებელია; როდესაც ჰხედავს, რომ ჭკუა, სამართალი და ძალა თავისუფლების მოღვაწეთ უპყრიათ, მაშინ უცხადებს ხალხს ქვეყანა საომარ ფეხზედ არის დაყენებულიო, და მით ჰსპობს ყოველგვარ წესიერებას და ამკვიდრებს მხოლოდ სამხედრო კანონს და თოფ-იარაღის ძალას. ბევრი უბედურება და ვაი-ვაგლახი უნახავს საფრანგეთს ამ გვარ მდგომარეობისაგან. ახლა კანონი ცოტად თუ ბევრათ ბოლოს უღებს ამ უბედურებას და საომარ ფეხზედ დაყენებას ცოტად თუ ბევრად საზღვარი ედება. ახალის კანონის პირველი მუხლი შემდეგის სიტყვით არის გამოხატული; „საომარ ფეხზედ უნდა დადგეს ქვეყანა მხოლოდ

მაშინ, როდესაც მას მოელის შიში ან ომიანობისაგან ან თოფ-იარაღით აღჭურვილის აჯანყებისაგან, ისიც ცალკე კანონის ძალით, რომელშიაც მოხსენებული უნდა იყოს თუ და რა მაზრა ან დეპარტამენტი არის დაყენებული საომარ ფეხზედ და რა ვადით. ამ ვადის შემდეგ ისევ ჩვეულებრივი წესი შემოდის, თუ ცალკე კანონმა ხელმეორედ არ დააყენა საომარ ფეხზედ ხსენებული ქვეყანა.“ მეორე მუხლი შეიცავს შემდეგს: „თუ ვინიცობაა პალატთა მოღვაწეობა შემდგარია, რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლიან, თანხმად სამინისტროის საბჭოსთან, დააყენოს საომარ ფეხზედ თვისი ქვეყანა, მაგრამ ამ შემთხვევაში პალატნი უნდა შეიყარნენ ორის დღის განმავლობაში მაინც“. ეს ორივე მუხლი, რომელნიც დადგენილნი იყვნენ დეპუტატთა პალატში, სენატმაც მიიღო. მესამე მუხლი შემდეგის სიტყვით იყო დადგენილი დეპუტატთა პალატში: „დეპუტატთა პალატის დათხოვნის დროს მთავრობას არ შეუძლიან დააყენოს ქვეყანა საომარ ფეხზედ ვიდრე არჩევანი არ გათავდება. რესპუბლიკის პრეზიდენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიან დააყენოს ქვეყანა საომარ ფეხზედ, თუ უცხო სახელმწიფოსთან ომი აუტყდა, მაგრამ იმ პირობით კი რომ ამომრჩეველნი რაც შეიძლება მალე იყვნენ შეკრებილნი“. შეუცვლელად მიიღებს სენატი ამ მუხლს თუ რაიმე ცვლილებას დასდებს ჯერ ვერას მოგახსენებთ.

---

## დარდი

### I

აგერ დაბინდდა. ცელქმა ნიავმა
სასიამოვნოდ გრილად დაჰბერა
და დღის მნათობმა ბრწყინვალე მზემა
დასავლეთისკენ გადაიწვერა.
დაღალულებმა შრომის შვილებმა
მუშაობასა თავი ანებეს,
ერთმანეთს ხელი-ხელს გადასხვიეს
და სიმღერითა სახლებს მიმართეს.
ოხ, ღმერთო! ეს რა ტკბილი ხმებია!...
ვინ იცის ვისი ნათქვამებია!...
ამ სიმღერების გაგონებაზედ
გული ხან ლხინობს და ხან ღონდება;
ხალხისა ტანჯვა და სიხარული
ამა ხმებშია მთლად იხატება....
აგერ კიდეც მთების იქიდამ
აღმოციმციმდა ბადრი მთოვარე
და თვის სხივებით მთლად განანათლა
დაბნელებული არე და მარე.
მიწყნარდა ყველა. მთელი ბუნება
იმ გვარ სიმშვიდით იქმნა მოცული,
რომ თითქოს ქვეყნად აღარ სცხოვრობდეს
აღარც ერთი ცოცხალი სული.
მხოლოდ მშფოთარე ლიახვის ზვირთნი
მთვარის სხივებზედ ჰკრთოდნენ, ხუოდნენ,
და მათ ხუილსა მთანი და ველნი
განუწყვეტელად ბანს დასძახოდნენ....
ოხ, მიყვარს, მიყვარს, როს ბადრი მთვარე
წყლის წმინდა ზვირთებს ეთამაშება
და ხასხას მწვანით შემკული არე
დუმილებითა შეიმოსება;
როს განთიადის სიოს მობერვით
ირხევა ველი ამწვანებული
და სადმე ახლოს გაბუერდნულს ბუჩქში
უშტვენს და გალობს ნაზი ბულბული.
ოხ, მიყვარს ეს დრო! გული, გონება
ჰგრძნობს გამოუთქმელს სიამოვნებას,
ველავ მავიწყდება საწუხროება
და მთლად ვეძლევი ტკბილსა ოცნებას....

### II

ჰოი ლიახვო! აქ შენს კიდეზედ
რავდენ ქართველთ გმირთ სისხლი დაღვარეს,
აქ არ იყო რომ ხუთი საბძელი
ნახოცი მტრების გვამებით დაწვეს? *)
აწ სად არს იმა გმირთ საფლავები?
ვისღა სდის მათთვის ცხარე ცრემლები?
მხოლოდ ხანდისხან გრიგალი ქარი
მეგლოვთა ნაცვლად ზუის, ღრიალებს
და ცრემლების წილ ციური ნამი
ამ გმირთ საფლავებს ალტობს, ასველებს.

---

*) ერთმა ღრმად მოხუცებულმა მითხრა, რომ მგელად ცხინვალში, დიდი ლიახვის პირზედ, ქართველებს იმდენი თათრები დაუხოცავთ, რომ ხუთი მგვდრებით სავსე საბძელი დაუწვავთ.

მაგრამ როცა მზე აღმობრწყინდება
ეს ზეციური ცრემლიც შრება.
წარვიდა გაჰქრა ძველი გმირობა,
აწმყო წარსულსა აღარ იგონებს;
სამშობლო მხარის უბედურება
ეხლანდელს ქართველს აღარ აღელვებს.
მის ბაგეთაგან აწ აღარ ისმის
ძველი გმირული ვაჟკაცთ სიმღერა
და აღარც ესმის თუ რასა ჰქვიან
მამულისათვის გულისა ძგერა.
სამშობლო მხარე, მის ერთგულება
ეხლა იმისთვის არის სიზმარი
და მისი ოხვრა, ტანჯვა, ვაება,
სრულიად მტკნარად გაუგებარი.
უდარდველობა, მხიარულობა,
ცხოვრების საგნად აქვს დადებული;
მოძმის ღალატი, მტრის ერთგულობა
სისხლ-ხორცადა აქვს გადაქცეული...
იმხიარულე ქართველისა შვილო!
წუთის სოფლიდამ სხვა რა გაგყვება;
შენ რას დაეძებ თუ საქართველო
უზრუნველობით აწ იტანჯება...
დალიე ღვინო, დამღერე ტკბილათ,
ბანს დაგძახებენ ქართვლის ქალები;
მაგრამ მე კი, როს ვუყურებ იმათ
თვალთა მერევა ცხარე ცრემლები:
იგინი თავის ბედკრულსა მამულს
ერთგულსა შვილებს აღარ უზრდიან;
დაბლის წინ წევს, მაღლის წინ დრეკას
ნანინანათა კუზნებიან....

III

გათენდა კვალად. ბრწყინვალე მზემა
მოჰფინა ქვეყნად შარავანდედი
და საამოვნოდ წინ გადმეშალნენ
მწვანით მოსილნი მთანი და კლდენი....
სამშობლო მხარევ! შენი ბუნება
ყოველის ფრითა არს შემკობილი,
აგერ მინდორთა აღმოცენება,
აგერა ველი ამწვანებული.
აგერ რა რიგად მაღლა მთებიდამ
წყარონი თავქვე მოჩქრიალებენ
და სურნელოვან ყვავილებითა
მოსილს მდელოებს აბიბინებენ.
შეხედეთ ფრინველთ ამ ბუნებაში
რა მხიარულათ სუნთქვენ, გალობენ,
თავიანთსა მწუხარებასა
შეუშინებლად ცხადათ მოჰსთქვამენ.
ოხ, ღმერთო! ღმერთო! ამ ბუნებაში
კაცი რაღათა სუნთქავს ძნელათა,
რისთვის იგიცა თვისთა ზრახვათა
არა გამოსთქვამს თავისუფლათა?!...

სოსიკო ოქრიაშვილი.

1878 წ.

---

## რუსეთი.

**პეტერბურღი.** („ივერიის“ კორრესპონდენცია). შარშანდელ „ივერიის“ მეთერთმეტე ნომერში მე წარვუდგინე მკითხველს წერილში პეტერბურღიდამ, შეძლებისა და გვარად, ვრცლად აქაურ საექიმო ქალაქების მნიშვნელობაზე საზოგადოდ ყველგან და მეტადრე ჩვენში. აგრეთვე ვსთქვი იმ უსაფუძვლოდ გავრცელებულ ჰაზრებზე ბევრად თუ ნაკლებ ყოველ საზოგადოებაში, ვითომ ქალებს მაღალ სწავლის მიღებისათვის საზოგადოდ და განსაკუთრებით ექიმობის შესწავლისათვის არც საჭირო ნიჭი აქვსთ და არც მხნეობა, ვითომ ქალს ექიმობის შესწავლაში უსათუოდ დაეკარგება ჩვილი გული და მანდილოსნური ნარნარობა, ვითომ ქალი, ამნაირად მიმართული შეარყევს ოჯახს და სხვანი და სხვანი. რომ ქალებს შეუძლიანთ ექიმობის შესწავლა და მით კაცობრიობისათვის კიდევაც სარგებლობის მოტანა, ამაზე მე რამოდენიმე მაგალითები მოვიყვანე შარშანდელ წერილში წარსულიდანაც და აწმყოდამაც. ამ მოკლე ხანში რუსეთ და ოსმალეთ შუა ომიანობის დროს აქაურ ქალების საექიმო მაღალ კურსების მსმენელებთა აშკარად დაამტკიცეს როგორც ცოდნა თავიანთ საქმისა, აგრეთვე გამოიჩინეს თავგამომეტებული და დაუღალველი მეცადინეობა დაჭრილების და ავათმყოფების ტანჯვის მოსასპობლად, ან და შესამსუბუქებელად. შარშან დაიწყო თუ არა ბრძოლა რუსეთს და ოსმალეთს შუა, რუსეთის „წითელის ჯვრის საზოგადოებამ“ ისურვა თავის ხარ-

ჯით ბრძოლის ველზე გაგზავნა მეხუთე და მეოთხე კურსების ექიმი სტუდენტებისა და აგრეთვე იმავე კურსების ქალებისა. გამოცხადდა თუ არა ეს სურვილი ზემოხსენებულ საზოგადოებისა, რასაკვირველია, იმ წამსვე დიდის სიხარულით მიატყდნენ ამ საზოგადოებას მრავალნი, სტუდენტები და აგრეთვე სტუდენტნი ქალნი ე. ი. მსმენელნი ზემოხსენებულ კურსებისა. სამ-ოთხ თვის განმავალობაში „წითელის ჯვრის საზოგადოებამ“ მარტო აქაურ საქიმო აკადემიიდამ 80-მდი სტუდენტები და 30-მდი სტუდენტი ქალები გაგზავნა, თითქმის ყველანი, რუმინიაში და ბოლგარიაში, სადაც ისინი ჩააყენეს საშრომლად სამხედრო დროებით საავად-მყოფოებში პროფესორების და გამოცდილ ექიმების ხელმძღვანელობის ქვეშ. ყოველ სტუდენტს ქალსა თუ კაცსა ებარა სამკურნალოდ 20—40 და დიდი ბრძოლის შემდეგ უფრო მეტიც—დაჭრილი თუ ავად-მყოფი. თავიანთ დანიშნულების ასრულებაში სტუდენტნი ქალნი არაფერში არ ჩამორჩომიან სტუდენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საჭირო იქნებოდა ხოლმე ვაჟკაცის ღონე. უნდა გენახათ, რა ნაირად ახალ-გაზდა, ნაზი და სუსტი ქალი უვლიდა თავის ავად-მყოფებს თითქმის წელ-გაუმართველად დილიდამ საღამომდის. უკანასკნელ დროში რუსულ გაზეთებში არა ერთხელ იყო ნათქვამი მათ სასარგებლო შრომაზე, და ამას მეც ვემოწმები, როგორც ბოლგარიაში ნამყოფი ამ ზაფხულში და მნახველი მათის შრომისა.

7-ს თებერვალს ზემოდ მოხსენებულ კურსების 36 ქალმა გაათავა უკანასკნელი დასრულების ეგზამენია. ყოველ ეგზამენზე პროფესორების გარდა გარეშე პირებიც დამსწრენი იყვნენ. ეგზამენების დროს და შემდეგაც რაოდენიმე აქაურ გაზეთებში იბეჭდებოდა წერილები, რომლებშიაც ძალიან აქებდენ ქალების ცოდნასა და ამტკიცებდენ, რომ თუ ამ ქალებს სრული ექიმობის დიპლომები არ მისცენო, დიდი უსამართლობა იქნებაო. ზოგიერთმა გაზეთებმა კიდეც ნამეტანად შეასხეს ქება მათს ცოდნას, რასაკვირველია, იმ განზრახვით, რომ მით გავლენა ქონიათ ქალების სასარგებლოდ იმ პირებზე, რომელთა ზედაც დამოკიდებულია — მიანიჭონ თუ არა ექიმ ქალებს სრული ნება, რომ აღასრულონ იგივე თანამდებობანი, რომელსაც ასრულებენ ექიმი კაცები, თუ მარტო ბებიაობისა, ქალების და ყმაწვილების რჩენის ნება მიჰსცენ.

რითი გადაწყდება მათი ბედი, ჯერ არავინ იცის, თუმც პეტერბურღის საქიმო მაზრის ინსპექტორი არწმუნებს მათ, რომ იმავე უფლებას მოგცემენო, როგორიც ექიმ-კაცებს ეძლევათო. დღე დღეზე ელიან გადაწყვეტილებას ამ საგანზე.

ამ ყამად ოთხის გარდა ყველა სტუდენტი ქალი უკანასკნელის კურსისა დაბრუნდნენ პეტერბურღში. ამ კვირაში დაუნიშნეს დანარჩენ 15 ქალს დასრულების ეგზამენი. იმ ოთხს კი, რომელნიც დღემდის ბოლგარიაში არიან, ნება მისცეს ეგზამენების დაჭერისა სეკტემბერში.

ცხადია, რომ თითქმის ყოველის ახალის საქმის დაწყება და მით უფრო მისი ბოლომდის მიყვანა დამწყებისათვის უფრო ძნელია, ვინემ ამყოლისათვის, რადგანაც ეს უკანასკნელი უფრო მომზადებულს და გატკეპნილს გზაზედ წავა, მაშინ როდესაც პირველმა გზა თვითონ უნდა გაიკაფოს. ამ კურსების შეძლება დღემდისაც არ შეჰფერის საქიმო მაღალ სასწავლებელის მოთხოვნილობას, მაგალითებრ, ჯერ კიდევაც არა აქვთ კარგად გაწყობილი კაბინეტები და ლაბარატორიები, რომელნიც, რასაკვირველია, უადვილებენ მოსწავლეებს საგნების შესწავლას. ამის გარდა ღარიბ მოსწავლე ქალთათვის თავის გამოკვება უფრო გასაჭირია, ვიდრე ღარიბ სტუდენტებისათვის, რადგან სტიპენდიები, შედარებით ვაჟების მაღალ სასწავლებელთან, ჯერჯერობით ნაკლებათა აქვთ და ამასთანავე უმეტესობა აქაურ საზოგადოებისა ჯერ კიდევ ხამად უყურებს ამ ახალ საქმესა.

დაარსება ზემოხსენებულ კურსებისა მარტო მით კი არ არის სასიამოვნო, რომ ჩვენ დღეის იქით გვეყოლება ექიმი ქალები; არა, ეს ამბავი უფრო მით არის სასიხარულო, რო გვიჩვენებს იმ დროის მოახლოებას, როცა ჩვენის ქალებისათვის ფართოდ გაიღება კარები სხვა მაღალ სასწავლებლებისაცა.

ი. გ—ძე.

# საქართველო

(ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა)

(შემდეგი *).

ქართლის-ცხოვრებაში ღირს-სახსოვარი შემთხვევა არის, სხვათა შორის, თურქების კოლონიის მოსვლა საქართველოში. ამ შემთხვევასთან აქვს დამოკიდებულობა ისტორიას ორბელიანთ გვარისას. ქართლის ცხოვრება ორბელიანთ დასაწყისზე არას ამბობს. ამას გვიამბობს მხოლოდ სტეფანე ორბელიანი. იმისი თქმულება ორბელიანთ მოსვლაზე საქართველოში თითქმის ეთანხმება ქართლის-ცხოვრებისაგან გარდამოცემულს ფაქტს თურქების მოსვლაზე. ორბელიანთ გვარი დიად გამოჩენილ გვარად ისხენიება ჩვენს ისტორიაში. ის არის უძველესი ყველა ახლანდელს ქართულს გვარებში: ორბელიანთ სახლის მემატიანე სტეფანე ორბელიანი ყოფილა საქართველოს ათაბაგის ტარსაიჯის შვილი, შობილა სომხურს სარწმუნოებაში მე-XIII საუკ. ნახევარს და მიცვლილა სიუნის მიტროპოლიტად 1304 წელს. სტეფანე არის განვითარებული სომხეთის მწერალი. ის სახელ-განთქმულა სხვა და სხვა გვარის მწერლობით, და უფრო სომხეთის თემის სიუნის ისტორიით, რომელიც უფ. ბროსსეს გამოუცია 1864—1866 წელს, ორ წიგნად, ფრანცუზულს ენაზე და რომელიც წარმოგვიდგენს ვრცელს და სვინიდისიანს აღწერას სიუნის გეოგრაფიისას და ისტორიისას. ამ წიგნში ჩვენთვის ყურადღების ღირსია განსაკუთრებით ორბელიანთ სახლის ისტორია. ეს ნაწილი შეიცავს: ბროსსეს Histoire de la Siounie-ში 63 გვერდს (I, 209—272) და სენ-მარტენის Mémoires-ში სომხურის ტექსტით 118 გვერდს (II, p. 57—175). აქ სტეფანე ჯერ მოკლედ გვიამბობს, ქართლის-ცხოვრების თანახმად, საქართველოს პირველ-დასაწყისს და შემდეგ სპარსეთის მეფის ქაიხოსროს დროდამ იწყობს ორბელიანთ გვარ-ტომობას.

„ამ დროს—იტყვის სტეფანე,—მომხდარა დიდი განხეთქილება და საშიშარი ბრძოლა ჯენასტანის (ჩინეთის) სამეფოში, რომელიც მდებარებს ხალანდრების ქვეყნის აღმოსავლეთად, ხაზარებისა და ჭუნნების საზღვრად, ვიდრე ემაუსის მთამდე. როდესაც მეფე ჯენბაკური მიცვლილა, სამეფო სახლის წევრებში ატეხილა ურთიერთი ბრძოლა; ვინც იმათში ძლეულა, ისინი ლტოლვილ ქმნილან. იმათი წინამძღომელი ყოფილა ახოვანი და გამბედავი, ძლიერი და ნიჭიერი ყმაწვილი კაცი. იმას შემოუკრებია თავისი მეგობრები და თავისი სპა, მოუტევენია სამეფო საუნჯე, შემდეგ ყველანი ამხედრებულან და მსწრაფლ გასულან. ისინი უშიშრად შესულან დარიალის კარით ქართლში და გამოსცხადებიან მცხეთის ტანუტარს (ჩვენებურად მამასახლისს). ტანუტარი ყოფილა დიდს მწუხარებაში ქვეყნის შევიწროების გამო სპარსთაგან. იმათ ასე უთქვამთ ტანუტარისთვის და უმთავრესის პირებისთვის: „ჩვენ ვართ ჩინეთის სამეფოს სახლის წევრნი; ჩვენ დავშორდით ჩვენ ძმებს და აქ იმ განძრახვით მოვედით, რომ თქვენის ქვეყნის სიმაგრეებს შევეფარდნეთ. ჩვენ გვსურს ან დავრჩეთ სპარსეთის სამფლობელოში, ან მივმართოთ საბერძნეთის მეფეს. მიგვიღეთ და მოგვანიჭეთ თავის-საფარი ადგილი. ჩვენ დავემკვიდრებით აქ და თქვენ თქვენთა მტანჯველთაგან განგათავისუფლებთ. თუ არა ჩვენ შევუდგებით ჩვენს გზას და ღმერთი ჩვენი იქნება შემწე ჩვენი". უმთავრესნი ტანუტარნი დიად კმაყოფილნი დარჩნენ იმათ ახოვანებით; ახალ-მოსულთათვის შეუმზადებიათ ვრცელი ნადიმი და მიუგიათ დიდი პატივი. ნიშნად განსაკუთრებითის მეგობრობისა იმათთვის დაუმკვიდრებიათ სადგომად და დასაცველად ქართლოსისაგან აშენებული შეუვალი ციხე ორბეთი; მიუციათ აგრეთვე საშვილიშვილოდ მრავალი თემი, დიდ-ძალი სოფლები და სიმაგრეები. დაკმაყოფილებულნი ისინი დამყარებულან ორბეთში და ამ ციხის გამო შემდეგ სახელ-წოდებულან ორბუქებად, ესე იგი ორბეთეთ ციხებად, რადგანაც ქართველებში ჩვეულებად არის, რომ აქ კეთილ-შობილნი ირქმევენ იმ ადგილების სახელს, სადაც ისინი ცხოვრობენ.... ეს გვარი ახლა იწოდება ორბელქად, ძველად კი იწოდებოდა ჯენეუქად, ესე იგი ჯენასტიქად ანუ ჩინელებად.

„ვიდრე ეს ასე იყო, ორბელიანთ შემოიკრიბეს სპები, დაესხნენ საქართველოს შემჭირველთ, აოტნეს იგინი, განდევნეს მტერნი მათნი, სპარსნი, და აღადგინეს აქ მშვიდობა. შემდეგში იმათ მიენიჭათ საქართველოს სახლის სპარაპეტობა და მხედართ უფროსობა. პირველმა საქართველოს მეფემ ფარნავაზმა უმეტესად დააჯილდოვა იგინი, ასე რომ მთელს მხარეში არავინ იყო მათი ტოლი, შემდეგ მეფისა."

„უეჭველია ეს ცნობა—დაურთავს სტეფანე—თუმცა ჩვენ ვპოვებთ ქართულ მატიანეში, მაგრამ არევით, ამისთვის რომ გიორგი მეფის შურის-ძიებამ აღმოჰხოცა ორბელიანთ გვარი საქართველოში და მოსპო თვით იმათი სახელი ისტორიაში, ყველა წერილებში და ძეგლე-სიებში. ჩვენ მოვიძიეთ და მხოლოდ ეს მცირე რამე მოვიპოვეთ. ჩვენ დავეკითხენით მცოდნე პირთ, აქა-იქ გაბნეულ წერილებს, რომელნიც კი უბედურებას გადაურჩნენ და აგრეთვე გვარის გარდამოცემას. რადგანაც ნამდვილი ძველი თქმულება ორბელიანთ ნათესავის მხნეობაზე და იმათს დიდ მოღვაწეობაზე შესახებ მთელის საქართველოს სახლისა გარყვნილი ყოფილა ქართულ მატიანეში, რომელსაც ქართლის ცხოვრებად უწოდებენ, ამისთვის ჩვენ უეჭველი ამბავი ვერა ვცანით. ჩვენ ვწერთ როგორც ვფიქრობთ. ჩვენ აქ საქმის გარემოება ისე შემოგვაქვს, როგორც ამოგვიკითხავს სომხურს წერილებში და ორბელიანთ გვარის ამოწყვეტას ისე წარმოვადგენთ, როგორც ნაამბობია მხიტარ ანელის ჩინებულს ისტორიაში 1).“

სტეფანეს თქმულება აქ ჩვენ განგებ გადმოვწერეთ თითქმის სიტყვა სიტყვით: როგორათაც ეს გამონაწერი, აგრეთვე მთელი სიუნის ისტორია ცხადად ჰმოწმობენ ამას წინად ჩვენგან წარმოთქმულს აზრს ქართლის ცხოვრებაზე. რომ სტეფანე ცხოვრობდა მე-XIII საუკ., რომ ის არის ავტორი „სიუნის ისტორიისა“, რომ ამ ისტორიას შეუცვლელად მოუღწევია ჩვენამდე, ამაზე ეჭვი არც არა ვის ჰქონია, არც არა ვის აქვს.... სტეფანეს წიგნში მრავალი ფაქტია დიაღ ძვირფასი: შინაურს ქართველს ცხოვრებასაც შეეხება და მომასტებულს ფაქტები თვით ქართლის ცხოვრებას ეთანხმება. სტეფანეს მეთორმეტის და მეცამეტის საუკუნის საქართველოს აღწერიდამ ჩანს, როგორც ეს ზემოდ მოვიხსენეთ, რომ ქართველებს თავისი არხივები ძველადვე ჰქონიათ, რომ ისინი იწოდებოდნენ ხან სამეფო არხივებად ხან სამდივნო არხივებად და დავთრებად, სადაც სხვა და სხვა გვარები და მონასტრები ჩაწერილნი ყოფილან. ჩანს აგრეთვე, რომ იმ დროებში და ადრევაც მეფეთ ჩვეულებად ჰქონიათ დაჯილდოება დასახლებულის სოფლებით და ციხეებით კერძო პირთა საშვილიშვილოდ 2), და მონასტრებისა 3), გუჯრებით და სიგელებით, რომელნიც მეფეების ბეჭდებით ყოფილან შემოწმებულნი 4); მაშინაც ჰქონიათ დიდებულთ ანუ თავად-აზნაურთ 5) ციხე სიმაგრეები 6) და გვარის სამარხი მონასტრები 7). მაშინაც ჰყოლიათ დიდებულთ აზნაურები 8). მაშინაც იზომებოდა გვარის ღირსება სისხლით 9), რომელიც ვრცლად არის მოხსენებული ვახტანგის სჯულში.

როგორც ჩვენ ვნახეთ, ორბელიანთ შთამომავლობა, სტეფანეს თქმით, ჩინეთიდამ მომდინარეობს. ეს აზრი მიღებული ყოფილა საქართველოში 10). თვით სენ-მარტენი ამ აზრისა არის: ამას ამტკიცებს ის თავის მშვენიერს „განხილვაში ორბელიანთ გვარის შთამომავლობაზე და სხვა ჩინელთ კოლონიების დამყარებაზე სომხეთში და საქართველოში“ რომელიც იმას ჩაურთავს თავის Mémoires-ში t. II, p. 15—55. ქართლის ცხოვრება ორბელიანთ გვარტომობაზე, როგორც ვთქვით, არას ამბობს. ის მოიხსენებს მხოლოდ თურქების მოსვლას საქართველოში, სადაც იმათ ის ამკვიდრებს სარკინეთში. ამ საგანზე უფ. ბროსსე სწერს: „ორბელიანნი არიან მოსულნი იმ მხარიდამ, რომელსაც უწოდებენ სომეხნი ჯენასტანად, სპარსნი ჩინად ანუ ჩინასტანად, არაბნი სინად, სირიელნი ცინესტანად, ევროპიელნი Chine-ად. აქ ნამდვილი ჩინეთი კი არ იგულისხმება, არამედ ერთი

---

1) Hist. de la Siounie, I, 209—212. Mém. sur l Arm., II, 57—65. მხითარი ცხოვრობდა მე-XII საუკ. იმას შეუდგენია თხზულება სომხეთზე, საქართველოზე და სპარსეთზე, რომელიც საუბედუროდ დაკარგულა და მხოლოდ ზოგიერთი ადგილი ამ თხზულებისა ჩვენამდე მოუღწევია მე-XIV საუკ. მწერლის ვარდანის ისტორიაში. (Hist. de la S., I, 212 n. 2. Mém. sur l' Arm., I, 201 n. 25).

2) Ibid. 216, 228, 231, 238, 235. Mém. sur l' Armen. II, 111, 139, 147, 149.

3) Hist. de la Sioun. I, 237.

4) Mém. II, 63, 79, 103, 107, 111, 137. H. de la S. I, 221, 231. H. de la Géor., I, 241, 243, 301, 315, 325.

5) Hist. de la Sioun. I, 214 et note.

6) Ibid, 231.

7) Ibid, 215, 233.

8) Mém., II. 69.

9) Hist. de la Sioun. I, 231.

10) Mem., II., 91. Hist de la Sioun., I, 215.

იმ მხარეთაგანი, რომელნიც დასავლეთად მდებარებენ, ესე იგი თურქისტანი, თოხურისტანი და ტრანს-ოქსანი, ჩინეთის ქვეშევრდომნი და ამისგამო სინეთად წოდებულნი. სომხის მწერალნი, რომელთაც უფრო სუსტი ცნობა ჰქონიათ, ვიდრე მუსულმანის მწერლებს, ზემო აზიის ისტორიაზე, სახელ-წოდებას ჯენისას ანუ ჩანეთისას აკრცელებენ თვით ხაზარეთამდე, რომელიც მდებარებდა მდინარე—ურალის სამხრეთად.

„როდის შემოსულან საქართველოში თურქის თავადნი, რომელნიც შემდეგ წოდებულან ორბელიანებად ანუ ჯამბაკურ-ორბელიანებად, ამაზე სწორე ცნობას არც ერთს ისტორიაში არა ვპოულობთ. ეს კია ნამდვილი გამოკვლეული, რომ მამიკონები მოსულან სომხეთში მე III საუკუნის ნახევარს ქრისტეს შემდეგ. ორბელიანებზე (თურქებზე) ქართლის ცხოვრების თქმულება ისე ყრუდ არის მოხსენებული, რომ ეს შემთხვევა უნდა მომხდარიყო I-ის საუკუნის შორის ქრისტეს შემდეგ და მე-V ანუ მეVI საუკ. შორის ქრისტეს წინად. არც რიცხვი სახლთა, 11) არც რიცხვი გადმოსახლებულთა, არც იმათი გზა არ ვიცით. შესაძლებელია, რომ საქართველოს მოაწყდა ორ-გვარი ემიგრაცია თურქებისა ანუ ჩინელებისა: ერთი ჩრდილოგზით, მეორე კასპიის ზღვით. ეს ამბავი დაშთენილა მხოლოდ ზეპირ-სიტყვიერს გარდამოცემაში. შესაძლებელია აგრეთვე, რომ მესამეს საუკუნეში, მაშინ, როდესაც მინაურ აღრეულებას ჩინეთის თურქისტანისას განუდევნია მამიკონები სპარსეთში და შემდეგ სომხეთში, ორბელიანთ წინაპარნი შემოსულან კასპიის ზღვით და მტკვრით ქართველების ქვეყანაში. შემდეგ თითქმის მთელის ორბელიანთ გვარის ამოწყვეტისა 1177 წელს, თამარ დედოფლის მამის გიორგის მეფობაში, ანუ ამ გვარის აღდგინების დროდამ გიორგი-ლაშას მეფობაში, ორბელიანნი იყოფებიან ორ შტოდ: ქართველთ ორბელიანებად და სიუნელთ ორბელიანებად. ამათში მხოლოდ ქართველთ ორბელიანები სახელ-იწოდებიან ჯამბაკურიანებად ანუ, უკეთ ვთქვათ, ჯენ—ბაკურიანებად, რომლისაც პირველი მარცვალი შეადგენს სომხურის ჩინეთის სახელს. მეორე ნაწილი კი ამ სიტყვისა, რომლის გამოკვლევა მე ვერ შევიძელ, ასეა განმარტული პოტიესაგან იმის საუცხოო წიგნში: Livre de Marco-Polo, p. 452: პოტიეს სიტყვით, ფაგური არის ტიტული სამხრეთ-ჩინეთის მეფისა; ეს სიტყვა წარმომდგარა ბაგანიდამ (богъ რუსული), რომელიც სანსკრიტულ ენაზე ჰნიშნავს უზენაეს არსებას.... ფაგურიდამ შობილა სიტყვა ბაგური და რუსული богдаханъ სხვა არა არის რა, როგორც თარგმანი ჩინურის „ცის-შვილისა“. ეს განმარტება, ჩემის აზრით—ასრულებს ბოლოსე,—დიად საფუძვლიანია.—აქ სიუნის ორბელიანებზე ეს უნდა ვთქვათ, რომ ახლა იმათ უწოდებენ ყაფლანიანებად, ყაფლანიშვილებად; ეს სიტყვა წარმომდგარა თურქულის ყაფლანიდან კი არა (ყაფლანი—ვეფხვია), არამედ სომხურის გაფანიდან, რომელიც არის ძველი სახელი ბასკის სამეფოისა. 12).

11) ვახუშტის ისტორიაში ნაჩვენებია 2,800 სახლი; ქართლის ცხოვრებაში 28; ამ უკანასკნელის რუმიანცოვის დედანში 28,000 (Hist de la G, I, 30 note 2) სომხური ხრონიკა რომელიც, როგორც მოგიხსენეთ, მე-XIII საუკუნეზე ადრე გამოწერილია ქართლის ცხოვრებიდამ, ქართლის ცხოვრების თანახმად უჩვენებს 28 სახლს (Chronique armén. Addit et Ecairciss, 1851, p. 6).

12) Hist de la Siounie, I, 181.

---

## განცხადება

ამ დღეებში გამოვიდა და ისყიდება თფილისს ქ. ხელაძის სტამბაში და ყველა წიგნის მაღაზიებში, ქუთაისს ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში, გორში ძმოკვის წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში გრიგოლ ჯანჭარაძის მაღაზიაში,

„**იმერლები თფილისში**,“ გ. წყალტუბელისა და გამოცემული ქ. ხელაძისაგან.

ფასი ყველგან ერთი შაური.

---

ისყიდება ქ. ტფილისში ყველა წიგნის მაღაზიებში:

**სალამური**, ანუ ლექსთა კრება, ფასი . . 10 კ.

**ანუკა ბატონიშვილი**, ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულოვისა, ფასი . . . . . . . . . 20 კ.

**ბოგია მეჩანგურე**, ლეგენდა აკ. წერეთლისა, ფასი . . . . . . . . . . . . . 5 კ.

ალმანახი, შედგენილი გ. თუმანიშვილისაგან, ფასი . . . . . . . . . . . . . 40 კ.

# განცხადება

ძალით წესდებისა § 83 და კამიტეტის განჩენისა, 4-სა მარტს 1878 წ. დადგენილის მჯდომარის მაგიერი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის ზედამხედველის კამიტეტისა, იწვევს ბანკის დამწესებელთ წევრთა მეოთხე ჩვეულებრივ კრებისათვის, რომელიც დანიშნულია 25-ს აპრილს ამ 1878 წლისას, 10 საათზედ დილით ბანკის სადგომში.

კრების განსახილველნი საგნები შემდეგნი იქნებიან:

1) განხილვა და დამტკიცება ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა წარსულის 1877 წლის ანგარიშისა.

2) აღნიშვნა იმ საყოველთაო საჭიროებისა, რომელსაც უნდა მოგებიდამ გადადებული, თანხმად § 90-სა, ფული 45%—10,322 მანეთი და 61 კაპეიკი.

3) წესდების ზოგიერთთა მუხლთა საჭიროდ ცნობილი ცვლილება და დამატება (§§ 6, 12, 15, 18, 19, 20, 22, 28, 39, 50, 66 და 83.)

4) განხილვა უძრავთ ქონებათა დაფასების ინსტრუქციისა.

5) 68, 77, 78, 82, 83, 84, 87 და 88 წესდების მუხლთა ცვლილებანი, რომელნიც, თანხმად 18 მაისის 1876 წ. საზოგადო კრების განაჩენისა, წარდგენილ იქმნენ ფინანსთა მინისტრისადმი დასამტკიცებლად.

6) მოხსენება მასზედ, რომ ფინანსთა მინისტრმა უარ-ჰყო შუამდგომელობა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შესახებ პრიკაზიდამ ვალების გადმოტანისა თავად-აზნაურთა ბანკში.

7) მოხსენება მასზედ თუ,—რა ვადით არიან ამორჩეულნი 1876 წ. საზოგადო კრებისაგან დამფასებელნი და ამ ვადის შესახებ როგორ უნდა იგულისხმებოდეს § 64 წესდებისა.

8) მოხსენება მასზედ, რომ საჭიროა ჩვენმა ბანკმაც მიიღოს მონაწილეობა რუსეთის საადგილ-მამულო ბანკების წარმომადგენელთა კრებაში.

9) მოხსენება მასზედ, რომ მიღებულ იქმნან ბანკის დამწესებელ-წევრად ის მიწათ-მფლობელნი თავად-აზნაურნი, რომელთაც ემათ განთავისუფლებისათვისა ფული მიუღიათ და რომელნი ისურვებენ მათზედ შეწირილი თავად-აზნაურთა საზოგადო კრების 29-ს ნოემბერს 1872 წ. ოქმით, ფული შემოიტანონ ბანკში სულ ერთად.

10) ამორჩევა ზედამხედველის კამიტეტის სამის წევრისა ნაცვლად თ. რევაზ ივანეს ძის ანდრონიკაშვილისა (გარდაცვალებულისა), თ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძის ბებუთოვისა (უარი ჰსთქვა) და გიორგი ნიკოლოზის ძის ყაზიბეგისა (ქალაქში არ იმყოფება).

11) ამორჩევა ბანკის გამგეობის წევრისა ნაცვლად თ. ალექსანდრე ზაალის ძის ჩოლოყაშვილისა, რომელსაც ამ წელს შეხვდა რიგი გასვლისა (§ 67).

12) ამორჩევა ერთი დამფასებელისა ნაცვლად თ. ივანე ზაალის ძის ავალოვისა, რომელიც თავისის ნებით სამსახურიდამ გადადგა,—და ამორჩევა დამფასებელთათვის ორის კანდიდატისა.

და 13) მოხსენება მასზედ, რომ დამზოგველთა ამხანაგობას ივერიას დაენიშნოს სასესხებლად 2,000 მანეთი ფულიდამ, რომელიც გადადებულია საყოველთაო საჭიროებისათვის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Мартъ 1878 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.